



## საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქართველოს სახელით

უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ

საქმე №558აპ-18  
ს----- ზ----, 558აპ-18  
2019 წელი

ქ. თბილისი  
3 მაისი,

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პაატა სილაგაძე (თავმჯდომარე),  
გიორგი შავლიაშვილი, პაატა ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2019 წლის 18 მარტს მსჯავრდებულ ზ---- ს-----ს მიმართ გამოტანილ განაჩენში დაშვებული უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე.

**აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 მარტის მსჯავრდებულ ზ---- ს-----ს მიმართ გამოტანილ განაჩენში დაშვებულია უზუსტობა, კერძოდ:
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას.





სისტემის პისტოლეტი ორი მჭიდრითა და ოთხი ვაზნით, ცეცხლსასროლი იარაღის ხუთი ოქროსფერი შეფერილობის ვაზნა, რომლებიც ინახება ს-----  
-----, შესანახად გადაეცეს საქართველოს შს  
სამინისტროს შესაბამის სამსახურს, ზ----- ს-----ს საკუთრების უფლების  
შენარჩუნებით, ხოლო ამავე ჩხრეკისას ამოღებული დანარჩენი ნივთები  
(მობილური ტელეფონები, სიმბარათები, მეხსიერების ბარათები, „ეიჩპის“  
ფირმის პორტატული კომპიუტერი), რომლებიც ასევე ინახება ს-----  
-----, დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.  
ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება ს-----  
-----, განადგურდეს კანონით დადგენილი  
წესით. დანარჩენ ნივთმტკიცებათა განკარგვის ნაწილში თბილისის  
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018  
წლის 28 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად“.

4. აღნიშნული განჩინება წარმოადგენს საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18  
მარტის განაჩენის განუყოფელ ნაწილს.

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

პ. სილაგაძე

მოსამართლეები:

გ. შავლიაშვილი

პ. ქათამაძე